

შპს „ეი ჯი აი“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეი ჯი აი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404580636

რეგისტრაციის თარიღი: 02/07/2019

საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ი.ნიკოლაძის ქ., ჩიხი 1 , N 4

დირექტორი : გიორგი მაჭუტაძე პ.ნ. 01017003470

საწარმო ფულადი სახსრების გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრულ იაღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსსფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსსფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არა დისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხისამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების

სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში Page 8 თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები დაგანუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	31-12-22	31-12-21	31-12-20
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,450,301	2,936	3,670
ინვესტიციები სხვა საწარმოში	-	-	100,400
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,450,301	2,936	104,070
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	254,972	40,439	2,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,540,309	540,340	380,623
ფული და ფულის ექვივალენტები	489,908	1,115,581	180,631
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,285,189	1,696,360	563,919
სულ აქტივები	5,735,490	1,699,296	667,989
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	337,000	100,700
გაუნაწილებელი მოგება	590,034	313,842	109,593
სულ კაპიტალი	590,034	650,842	210,293
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,940,949	1,048,454	457,696
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,940,949	1,048,454	457,696
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	204,507	-	-
სულ ვალდებულებები	5,145,456	1,048,454	457,696
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,735,490	1,699,296	667,989

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	31-12-22	31-12-21	31-12-20
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,450,301	2,936	3,670
ინვესტიციები სხვა საწარმოში	-	-	100,400
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,450,301	2,936	104,070
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	254,972	40,439	2,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,540,309	540,340	380,623
ფული და ფულის ექვივალენტები	489,908	1,115,581	180,631
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,285,189	1,696,360	563,919
სულ აქტივები	5,735,490	1,699,296	667,989
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	337,000	100,700
გაუნაწილებელი მოგება	590,034	313,842	109,593
სულ კაპიტალი	590,034	650,842	210,293
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,940,949	1,048,454	457,696
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,940,949	1,048,454	457,696
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	204,507	-	-
სულ ვალდებულებები	5,145,456	1,048,454	457,696
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,735,490	1,699,296	667,989

დირექტორი : გიორგი მაჭუტაძე



სრული შემოსავლის ანაგეზგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2022	2021
ამონაგები	7,222,780	2,118,152
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,794,642)	(145,904)
საერთო მოგება	1,428,138	1,972,248
ხელფასი და სხვა სარგებელი	(288,360)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(85,151)	(734)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(525,702)	(1,767,265)
ფინანსური ხარჯი	(833)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(251,900)	
მოგება დაბეგვრამდე	276,192	204,249

სრული შემოსავლის ანაგისგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	2022	2021
ამონაგები	7,222,780	2,118,152
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,794,642)	(145,904)
საერთო მოგება	1,428,138	1,972,248
ხელფასი და სხვა სარგებელი	(288,360)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(85,151)	(734)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(525,702)	(1,767,265)
ფინანსური ხარჯი	(833)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(251,900)	
მოგება დაბეგვრამდე	276,192	204,249

დირექტორი : გიორგი მაჭუტაძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის	100,700	109,593	210,293
მოგება წლის ბოლოს		204,249	204,249
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	236,300		236,300
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	337,000	313,842	650,842
მოგება წლის ბოლოს		276,192	276,192
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(337,000)		(337,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	590,034	590,034

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 26 დეკემბერს.